საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-12/81

14 ივნისი, 2022 წელი ქ. ბათუმი

ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ზოგიერთი დასაქმებულისათვის პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის ფუნქციების დაკისრების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე, 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, საქართველოს შრომის კოდექსის მე-15 მუხლის, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ზოგიერთი დასაქმებულისათვის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტისა და პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის ფუნქციების დაკისრების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 20 ოქტომბრის N01-12/59 ბრძანების, ბსუ-ს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ” წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 10 თებერვლის №07-01/06 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ” წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 10 თებერვლის №07-01/06 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის დაცვის განყოფილების პერსონალის სამუშაო აღწერილობის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 15 აპრილის N01-10/40 ბრძანების, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2016 წლის 2 დეკემბრის N01-11/79 ბრძანებით დამტკიცებული ,ბსუ-ს ტერიტორიაზე პირველადი სამედიცინო დახმარების მიღების ინსტრუქციის“ (ცვლილება ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 8 ივნისის N01-10/59 ბრძანებით), **პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი** განათლების ცენტრის **დირექტორის** მადონა მიქელაძის სამსახურებრივი ბარათის (MES 5 22 0000622691, 10.06.2022 წ.) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ბსუ-ს, როგორც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, **ავტორიზაციის სტანდარტის** - ,,მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსურ რესურსები“ კომპონენტების (5.1.1. - პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას“) **მოთხოვნათა შესრულების უზრუნველსაყოფად** ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის (შემდეგში - ცენტრის) საქმიანობის განხორციელების პროცესში **პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ფუნქციები დროებით დაეკისროს ცენტრის დასაქმებულებს:**

ა) ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერ **ჯილდა აბაშიძეს;**
ბ) ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერ **მამუკა გოგელიას.**

2. ჯილდა აბაშიძემ და მამუკამ გოგელიამ წინამდებარე ბრძანებით დაკისრებული ფუნქციები ცენტრის სივრცეში შეასრულონ საქართველოს კანონმდებლობის, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2016 წლის 2 დეკემბრის N01-11/79 ბრძანებით დამტკიცებული ,ბსუ-ს ტერიტორიაზე პირველადი სამედიცინო დახმარების მიღების ინსტრუქციის" შესაბამისად, მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტთან (სამედიცინო პუნქტის ხელმძღვანელთან) თანამშრომლობით.

3. ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ზოგიერთი დასაქმებულისათვის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტისა და პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის ფუნქციების დაკისრების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 20 ოქტომბრის N01-12/59 ბრძანება ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი.

4. პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2016 წლის 2 დეკემბრის N01-11/79 ბრძანებით დამტკიცებული ,ბსუ-ს ტერიტორიაზე პირველადი სამედიცინო დახმარების მიღების ინსტრუქციის" შესაბამისად ცენტრის ფართში პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ფუნქციების განხორციელებაზე წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის განთავსება ბსუ-ს ვებგვერდზე (ცენტრის ველში), ასევე ცენტრის საინფორმაციო დაფაზე.

5. ბრძანება დაეგზავნოს: რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ჯილდა აბაშიძეს, მამუკა გოგელიას, ბსუ-ს რექტორის აპარატს, მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს (სამედიცინო პუნქტის ხელმძღვანელს), საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს და საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი იაკინთე ჩხარტიშვილი